ხელშეკრულება 0401/02

გამარტივებული შესყიდვა (მონეტარული ზღვრების დაცვით)

CPV 98300000

ქ. თბილისი 04 აგვისტო 2018 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს **„სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა"** (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის **ალექსი ზანდარაშვილის** სახით და მეორე მხრივ **შპს „სი-ტი პარკ"-ი** (შემდგომში - „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი გენერალური მენეჯერის **ბინიამინ ლაჰავის** სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოდის" ბალანსზე მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის პარკირების მომსახურება (პარკირების სისტემაში გააქტიურება).

2. შესასყიდი მომსახურების რაოდენობა და ფასი

2.1 1 (ერთი) ავტომანქანის: წლიური პარკირების საფასური შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს, 6 თვიანი პარკირების საფასური 25 (ოცდახუთი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1 500 (ათას ხუთასი) ლარს.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურება ქ. თბილისის მასშტაბით (პარკირების სისტემაში გააქტიურება) განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან: 25 ლარიანი პარკირების პაკეტის გააქტიურების შემთხვევაში 6 თვის, ხოლო 50 ლარიანი პარკირების პაკეტის გააქტიურების შემთხვევაში 1 წლის განმავლობაში, ყოველი კონკრეტული ა/სატრანსპორტო საშუალებისათვის.

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურებისათვის ფორმდება შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია.

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1. მომსახურების ხარჯების ანაზღაურება მოხდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, ეროვნული ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორებით „მიმწოდებლის" მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული ფასების შესაბამისად.

4.2. ანგრიშსწორება განორციელდება ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების სისტემაში გააქტიურებიდან და შესაბამისი საანგარიშწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან (მიღება–ჩაბარება და სხვა) არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

5. ცვლილებები

5.1. ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის". ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 398-ე მუხლის თანახმად.

5.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას საყოველთაოდ აღიარებული ფორს-მაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო.

6.2. ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის" ავტოპარკის უფროსი ანზორ ხარაძე.

8. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

8.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება მხარეებსა და მათ წარმომადგენლებზე.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ჯეროვნად ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით – ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების სისტემაში გააქტიურების ბოლო ვადაა 2018 წლის 31 დეკემბერი.

10.2. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 1 თებერვლის ჩათვლით.

11. სხვა პირობები

11.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ვალდებულებათა შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით მიყენებული ზიანის ოდენობის შესაბამისად.

11.2. მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულებაში შეიტანონ ცვლილებები და დამატებები, რომლებიც უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერის შემდეგ ხდება წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და მოქმედებს მასთან ერთად.

11.3. ხელშეკრულების რომელიმე მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან/და მისი სხვა ცალკეული მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ხელშეკრულებით (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

11.4. მიმწოდებელი აცხადებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები, მათ შორის მისი რეკვიზიტები, სწორია.

11.5. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

11.6. მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობის შემთხვევაში, რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ; ამ გარემოებების ლიკვიდაციისთანავე მხარეები ვალდებულნი არიან შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები.

11.7. ყოველი მხარე წერილობით ატყობინებს მეორე მხარეს იმ გარემოებების შესახებ, რომელთაც შეუძლიათ იქონიონ გავლენა მხარის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულებაზე: რეორგანიზაცია, რეკვიზიტების შეცვლა, გადახდისუუნარობა ან გადახდისუუნარობის ალბათობა, ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვა და სხვა. მხარე, რომელიც არ ატყობინებს ან არადროულად ატყობინებს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დამაბრკოლებელი გარემოებების შესახებ, ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ამასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ზარალი.

11.8. ყველა ის საკითხი რომელიც არ არის რეგულირებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

11.10. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს მეშვეობით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.11. ხელშეკრულება ფორმდება, ქართულ ენაზე, ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, თითოეული მხარისათვის გადასაცემად.

11.12. კომპანიის სახელით ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი, ასევე ხელშეკრულების ვიზირებაზე ქვემოთ ხელისმომწერნი, ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში ხელშეკრულებაში მითითებულ მომწოდებელთან სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად.

12. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა"	შპს „სი-ტი პარკ"
საიდენტიფიკაციო კოდი 404 482 537	საიდენტიფიკაციო კოდი 204543770
ქ. თბილისი, ჭანტურიას №12	ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. №47
ტელ: 2 200 122	ტელ: 2555123
ს.ს. „თიბისი ბანკი"	ს.ს. „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიში GE 58 TB73 5343 6080 1000 04	ანგარიში GE 75 TB 7721 3360 7010 0003
დირექტორი	გენერალური მენეჯერი
ალექსი ზანდარაშვილი	ბენიამინ ლეჟავა
"STATE ... SERVICE LTD"	"CT PARK" LTD GEORGIA 204543770